



ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია
BIOLOGICAL FARMING ASSOCIATION

biofarm@elkana.org.ge
www.elkana.org.ge

გაზაფხულის ქ. № 61
0186 თბილისი
ტელ/ფაქსი: +995 32 253 64 87

61 Gazapkhuli str. , 0186
Tbilisi, Georgia
Tel./Fax.: +995 32 253 64 87

**ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანას“ პოზიცია
„ცოცხალი გენმოდირეცირებული ორგანიზმების შესახებ“ საქართველოს კანონში
ცვლილების შეტანის თაობაზე**

გავცანით საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებულ კანონპროექტს „ცოცხალი გენმოდირეცირებული ორგანიზმების შესახებ“, რომელიც სხვა ცვლილებებთან ერთად, ითვალისწინებს ცოცხალი გენმოდირეცირებული ორგანიზმების იმპორტს ცხოველის საკვებად გადამუშავების მიზნით და მის გადამუშავებას გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსათვის წინასწარი შეტყობინების საფუძველზე.

მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირის რიგ ქვეყნებში დაშვებულია ცოცხალი გენმოდირეცირებული ორგანიზმების ცხოველის საკვებად გამოყენება, მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია აღნიშნული დაშვების საქართველოს კანონმდებლობაში განხორციელება რამდენიმე მიზეზის გამო:

1. საქართველოს რეალობაში, ჩვეულებრივი პრაქტიკაა სერტიფიცირებული და ეტიკეტირებული სათესლე მასალის ნაცვლად, ნებისმიერი გასამრავლებელი მასალის, იქნება ეს ცხოველის საკვები თუ სასურსათო დანიშნულების, თესლად გამოყენება. ცხოველის საკვების იმპორტისას იქმნება საფრთხე, რომ თუნდაც ცხოველთა საკვებად გამიზნული ცმო თავისუფლად მოხვდეს ბაზარზე. ასეთი, დიდი ალბათობით იაფი, მასალის ბაზარზე თავისუფალი გამოჩენა აუცილებლად გამოიწვევს მის სათესლედ გამოყენებას და უკონტროლო გავრცელებას სასოფლო-სამეურნეო სავარგულებში. ამან შესაძლოა საფრთხე შეუქმნას საქართველოს, როგორც ეკოლოგიური პროდუქტების მწარმოებლის იმიჯს, ქვეყნის აგრარულ ბიომრავალფეროვნებას და გამოიწვიოს აგროეკოსისტემების შეუქცევადი დეგრადაცია. ასევე, არაა გამორიცხული, ცხოველის საკვებად ეტიკეტირებული ცოცხალი გენმოდირეცირებული მასალის ამავე გზით სასურსათო ჯაჭვში მოხვედრა გადამუშავებული და/ან, ზოგ შემთხვევაში, პირდაპირი სახითაც.
2. კანონპროექტი არ ითვალისწინებს ცხოველის საკვებად ეტიკეტირებული ცოცხალი გენმოდირეცირებული მასალის იმპორტისას რაიმე სახის დამატებით რეგულაციას, მაშინ როდესაც ასეთი მასალის ბაზარზე დაშვების ევროპული

For BIOtiful Life!
Organic product. Rural diversity.

- პრაქტიკა უსაფრთხოების მრავალწლიან და მკაცრ გამოცდას ეფუძნება. შესაბამისად, კანონპროექტი ქმნის შესაძლებლობას საქართველოში ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების იმპორტი მოხდეს ისეთი ქვეყნებიდან, სადაც არ ხდება მათი გამოცდა შესაბამისი კრიტერიუმების გათვალისწინებით. აქედან გამომდინარე, ასეთი რეგულაცია ადამიანისა და ცხოველის ჯანმრთელობაზე შესაძლო პირდაპირი უარყოფითი ზეგავლენის რისკებს მნიშვნელოვნად ზრდის.
3. გასათვალისწინებელია, რომ გაერთიანებული ერების კონვენცია კლიმატის ცვლილების შესახებ, რომლის მიზანია ატმოსფეროში სათბურის აირების კონცენტრაციის ზრდის და ამით გამოწვეული გლობალური დათბობის შეჩერება, ქვეყნებს მოუწოდებს სოფლის მეურნეობაში, განსაკუთრებით მეცხოველეობაში, გარკვეული სტანდარტების დაწესებას; კერძოდ, იმპორტირებული საკვების მეცხოველეობაში გამოყენების მაქსიმალურ შეზღუდვას. ევროკავშირის ჩარჩო კანონმდებლობა კი წევრ ქვეყნებს აძლევს არჩევანის თავისუფლებას აკრძალონ ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების გამოყენება. მეტიც, ევროკავშირის წევრ 16 ქვეყანაში¹ ცოცხალ გენმოდიფიცირებულ ორგანიზმებზე სრული აკრძალვა მოქმედებს.
 4. საქართველოსა და საერთაშორისო კანონმდებლობით დაუშვებელია ცმო-ს გამოყენება ცხოველთა საკვებად ბიოწარმოებასა და ტრადიციულ, მათ შორის გეოგრაფიული აღნიშვნის ნიშნის მქონე, პროდუქტების წარმოებაში. შესაბამისად, ცმო ან მის ბაზაზე დამზადებული პროდუქციის ბაზარზე გამოჩენა საფრთხეს უქმნის საქართველოს პერსპექტივას გახდეს მაღალი ხარისხისა და ღირებულების სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელი და მიიღოს დამატებითი შემოსავალი სოფლის მეურნეობისა და ტურიზმის სექტორში.

იმედს გამოვთქვამთ, რომ საქართველოს მთავრობა გაითვალისწინებს ჩამოთვლილ რისკებს და კანონპროექტით გათვალისწინებული ცვლილებები არ იქნება დამტკიცებული.

პატივისცემით,

მარიამ ჯორჯაძე

დირექტორი



¹ავსტრია, ბულგარეთი, გერმანია, დანია, იტალია, ლატვია, ლიეტუვა, ლუქსემბურგი, მალტა, ნიდერლანდები, პოლონეთი, საბერძნეთი, საფრანგეთი, სლოვენია, უნგრეთი და ხორვატია.